სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

19 ნოემბერი 2010 წელი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამოქალაქო თავდაცვის, ვეტერანთა და ლტოლვილთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 9 ოქტომბრის №22 დადგენილება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 18 აპრილის №10 დადგენილება.
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზ. ზედელაშვილი**

დანართი №1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას, კოორდინაციას უწევს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვას, უზრუნველყოფს მოსახლეობის შრომით მოწყობას, დასაქმების შესახებ პროგრამების და პროექტების შემუშავებას, ასევე შეიმუშავებს პროექტებს სოციალური, განათლების, კულტურის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ და ძეგლთა დაცვის სფეროში შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.
2. სამსახური ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის მიერ შექმნილი ა(ა)იპ-ების საქმიანობის ორგანიზებას, რომლებიც განეკუთვნებიან სოციალური, განათლების, კულტურის და სპორტის საკითხთა სფეროს.
3. სამსახური ახორციელებს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზებას.

4. სამსახური წარმოადგენს გამგეობის მუდმივმოქმედ, მუდმივი და ანაზღაურებადი შტატების საფუძველზე შექმნილ სტრუქტურულ ერთეულს.

5. სამსახური არ არის იურიდიული პირი, აქვს ბლანკი საკუთარი დასახელებით.

6. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

7. სამსახურის ადგილსამყოფელია სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის მოედანი № 2.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები, გამგეობის დებულება და წინამდებარე დებულება.

2. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლისა და საკრებულოს წინაშე.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

1. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა.

2. სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მათზე სოციალური დახმარების და სხვა შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება.

3. გადამდები, განსაკუთრებით საკარანტინო დაავადების ეპიდკონტროლის ხელშეწყობა, მათი აღმოცენების, გავრცელების შეზღუდვა სათანადო ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება;

4. ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათი დროებითი განსახლების ორგანიზება, მთავრობის მიერ შემუშავებული ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების განხორციალება და ზემოაღნიშნული კონტინგენტის სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა.

5. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სოციალური, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის განვითარების პროექტების მომზადება, დამტკიცებული პროგრამების განხორციელების კოორდინაცია.

6. სოციალური, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის განვითარებისათვის პერსპექტიული გეგმების შემუშავება, მუნიციპალური პროგრამების მომზადება და განხორციელება;

7. მოითხოვოს და მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

8. საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით, საკრებულოს გადაწყვეტილებებით და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 4. სოციალური სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის სტურქტურული ქვედანაყოფებია:

ა) კულტურისა და განათლების განყოფილება;

ბ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება;

გ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება.

მუხლი 5. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის მუშაობას, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო

სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა;

2. სამსახურის უფროსი

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ მისთვის დაკისრებულ ფუნქციებსა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ) ქმნის სამსახურის თანამშრომლისათვის მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს;

ე) წარუდგენს გამგებელს წერილობით წინადადებებს მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, გამგებლის სამართლებრივი აქტებით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს გამგებლის დავალებით ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

მუხლი 6. განყოფილების უფროსი

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა.

2. განყოფილების უფროსი:

ა) ახორციელებს განყოფილებისა და განყოფილების მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს განყოფილებისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) წინამდებარე დებულებით განსაზღვრული განყოფილების ძირითადი მიმართულების შესაბამისად შეიმუშავებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებას განყოფილების მოხელეთა შორის ფუნქციათა განაწილების შესახებ;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. კულტურისა და განათლების განყოფილების უფლება-მოვალეობა

1. კულტურისა და განათლების განყოფილება:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს და პროექტებს მის დაქვემდებარებაში მყოფ საგანმანათლებლო და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

ბ) უზრუნველყოფს კულტურულ ღონისძიებათა ჩატარების, ხალხური შემოქმედების, თეატრალური, მუსიკალური, მხატვრული ხელოვნების სხვა დარგების განვითარების ხელისშემწყობ ღონისძიებათა დაგეგმვას და ორგანიზებას;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს და პროექტებს მის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

დ) უზრუნველყოფს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხელყოფის აღკვეთას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას, სარესტავრაციო და დასუფთავების სამუშაოების ჩატარებას;

ე) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლების აღრიცხვასა და მათ შესწავლას;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8 . სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფლება-მოვალეობა

1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს წინადადებებისა და პროექტების მომზადებას მის საქმიანობის სფეროში არსებული სპორტული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

ბ) უზრუნველყოფს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას.

გ) უზრუნველყოფს ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფლება-მოვალეობა

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება:

ა) ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი კონტინგენტის ერთიანი კომპიუტერული ბაზის ფორმირებას და მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების უზრუნველყოფას;

ბ) ორგანიზებას უწევს საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას სოციალურ თუ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

გ) უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვას მუნიციპალიტეტის სოფლების მიხედვით;

დ) შეისწავლის, განიხილავს და ამზადებს დოკუმენტაციას სოცპაკეტით გათვალისწინებული თანხების მიზნობრივად გამოყენება-ხარჯვისათვის;

ე) აწარმოებს კონტროლს უმოვართა და უპოვართა სასადილოების სრულფასოვან კვებაზე;

ვ) უზრუნველყოფს მოსახლეობის შრომით მოწყობას;

ზ) უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა, ლტოლვილთა, სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ მიგრაციული ნაკადების რეგულირებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათი დროებითი განსახლების ორგანიზაციას, მთავრობის მიერ შემუშავებული ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების განხორციალებას და ზემოაღნიშნული კონტინგენტის სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვას;

თ) უზრუნველყოფს დასაქმების შესახებ პროგრამების და პროექტების შემუშავებას,

ი) ახორციელებს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10 . სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესი

სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა.

მუხლი 11. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

ა) წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები სამსახურის საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები და პირობები;

გ) იხელმძღვანელონ მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, კანონმდებლობით, საინფორმაციო თუ სხვა მასალებით;

დ) დააყენონ სამსახურის უფროსის წინაშე საკითხი მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) ისარგებლონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით და სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ისარგებლონ კუთვნილი შვებულებით, ასევე შვებულებით ანაზღაურების გარეშე;

ზ) ისარგებლონ სხვა შესაბამისი სიკეთით, რაც დადგენილია ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები მოვალენი არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელის დავალებები;

გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ შესაბამისი პროფესიული დონის ასამაღლებლად;

ე) შეასრულონ გამგეობის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკონომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახის ქონებას.

მუხლი 12. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით.